

# მ ნ ა თ ო ბ ი

სალიტერატურა და სამეცნიერო ჟურნალი.

1871

მ ა თ ბ ი.



~~36645~~

ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მუიბადი.  
ჩვენ უნდა მივსტეთ მამაკალი სალსს...  
ანტ კატი ვარჯა, თუ ცოცსალი მკვდარსა  
ემსტაკსონს,  
იუას სოიუელში და სოიუელს კი არარა  
არგონს...  
ნ. ბარათაშვილი.

თფილისი  
დუბლირის (პ. წერეთლის და ამხ.) სტამბა.  
1871



1871/05/30

საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნი



1871

1871

1871

Дозволено цензурою, Тифлисъ 30 Мая 1871 г.

1871

საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნი  
საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნი  
საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნი  
საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნი

საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნი

# მისჯულა-მოსჯულა რუსეთს და საქარ- თუელს შორის 1492 წ-გან 1664 წ-მდინ.

გინ არის იგი, ვისაც გული ერთხელ აღგოსოს  
და. . . . .

კაცობრიობის ისტორია გვაჩვენებს, რომ ისეთი ხალხი არა  
ყოფილა, რომელსაც არა ჭქონდეს სურვილი, ლტოლვილება მთელი  
ქვეყნის დამორჩილებისა. ერთი ტომი ცდილობს დაიმორჩილოს მე-  
რე ტომი, დაისაკუთროს მისი ავლა-დიდება, იმსახუროს და მისს  
სარჯსე გამოიკვებოს. ჩვენ ვხედავთ ხალხის ამგებრი ლტოლვილების  
ანუ სურვილის განცხადებებს ყველა ნაბიჯსე კაცობრიობის ისტო-  
რიაში. ახა წარმოვიდგინოთ საბერძნეთის ისტორია: აქ ვხედავთ, რომ  
შელასტების დამორჩილებას ელტვიან ჭლენები; ზირველნი ცდილობენ  
თავიანთ თავის დაცვას, მაგრამ ახად: — ჭლენები თავიანთ რანდულ  
გამჭრისობით და მამაცობით ზოგს მათგანს ჭერინ თვის სამშობლოდამ  
და ზოგს კიდევ იმორჩილებენ და ისღიან მონებად. დროს განმავ-  
ლობაში ჭლენები და შელასტები უერთდებიან ერთი ერთმანერთს და  
აღვენენ ერთს ხალხს. ბოლოს ესენი შეკრებული ძლით ცდილობენ  
სხვა ტომების შეპყრობას, აგრეთვე ამათ დამორჩილებას ელ-  
ტვიან უკანასკნელნი. განსეთქილება მათ შორის ძირიელდება, გრძელ-  
დება იქამდე, მინამ რომელიმე მათგანი არ სდება ამ განსეთქილე-  
ბის მსხვერპლად. გამარჯვებულნი ამას არ გამოყოფილებებიან. ესენი  
უწყობენ ბრძოლას ახლა კიდევ სხვა ტომებს. ებრსვიან მათ, მინამ  
ან არ შეიკვლავენ ან თვითონ არ შეაკვებიან.

ბერძნული  
336  
ეროვნული  
308

### მნათობი

არ იფიქრებ შენეობილნი იმ აზრით, რომ მთელი ქვეყანა დეკლარაციით, უცხო ტომები შეევიწროვებინათ, დღიური ლუკმა წაერთმიათ მათთვის, მინებად შეერაცხათ და ყოველგვარი მძიმე მუშაობა მათ გისერსებ დაეღათ, წაგორც სხვა ხალხსი. მაგ. რომაელნი. ესლანდელ იტალიაში თავდაპირველად სამი ტომი: ლათინელები, ეტრუსკელები და სხვლები ახდენენ ერთმანერთში ომს; ბოლოს ესენი უერთდებიან ერთი ერთმანერს და ადგენენ რომის ხალხს. ამათი ერთად შეერთება ხდება რომის აშენების შემდეგ. რომი, მიიღებს რა არსებობას, შეუდგება პირველად თავის თავის დაცვას, მტრების მოღერებას, რომლებიც სძინად უშოგათოდენ მას მიუღერებებს. მეტე, დროს განმავლობაში, იწყებს თავის მტრების დამორჩილებას. დამარცხებს ეტრუსკებს, სძინათიელებს, სელ-ნელა გაჭეებს და დიჭერს მთელ იტალიას. ეს ამას არ სჯერდება; გაჭეხებული გამარჯვებით თავის შინაურ მტრებსე უცხადებს ბრძოლას აფრიკაში კართავებელს, ევროპაში—მაკედონიელებს, დიდლებს და სხვებს. ვისაც კი უცხადებს ომს, თითქმის ყველას მტკერს ადენს. დამორჩილებული ქვეყნებიდგან მოჭყავს რომს ტყვეები და იტალიაში ნივთის მსგავსად ჭივიდის უბედურებს. დროთი დრომდე ამ ტყვეების რიცხვი მრავლდება და უქადიან სამეფოს უბედურებას რომ წარმმოვიდგინათ, თუ რამდენი ტყვე მოასსეს იტალიაში მაკედონიის დამარცხების შემდეგ, აგრეთვე კართავების დწვის შემდეგ, მაშინ სულ ცხადათ დავინახავთ რომაელების გაუწყვეტარ სურვილს—შეიზურან სხვა და სხვა ტომები, წაართვან მათ ხარხო და თვითონ იზარზარონ მათ ქანებაზე. ისტორიაში ვკითხულობთ, რომ შავლე ემიდომ მაკედონიის დამარცხების შემდეგ, რომში მოასსა გასაყიდათ 150,000 ტყვე; სციზიონ ემილიანმა, კართავლის აოსრების შემდეგ, გაყიდა იტალიაში 56,000 ტყვე; ზომშიემ გაიარა მთელი წინა აზია, კავკასიის მთებიდგან საშვალა ზღვაბდინ, ხსკეარსე მეტი დიჭირა მისი მასრები და რომის პროვინციებად (მასრებად) შერცხს; ორი ათასი ქალაქი დამარცხა, 800 გეში შეიპურა, ადგილობრივ დასოცა და ტყვედ წამოასსა 2 მილიონი სული. კაცი და რომის ხაზინას შეჭმატა (20,000,000) ოც მილიონზე მეტი მანეთი. რამდენი სხვა ამისთანს ხეჭეები ხაიდინეს რომაელებმა! იმათ ბეგრი სმი-

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

### მისვლა-მისვლა რუსეთს და საქართველოს შორის

ფოთი თავისი მეფეებით და მცხოვრებლებით ჩაყვანილი; ბევრი მხარეები  
ააღსრულდა; ბევრი სხვისი მამულები შეინახეთ. რომის ისტორიის  
კითხვის დროს ასე ზგონას კაცს: რომელია დაბადებულან ქვეყანაზე  
იმისთვის, რომ მრავალი სხვა და სხვა ტომი ჩაეყვანათ და ვერ მო-  
ქვებინათ ჩაყვანულები, შემოებრძოლათ მუტელს და თანაც გადა-  
წყოლოდნენ. —

ამ გვარი არაფრით გაუმძღვრება, ამ გვარი უგუნური სურვილი  
შესასებ სხვა ტომების დამორჩილებისა ეგუთვნის არა მხოლოდ ძველ  
საღვთს, არამედ არც ახალი ხალხის განთავისუფლებული ამ ნაკლებ-  
ვანებისგან. რომ ბევრი არ გაკავშირდეთ ეს ხვენი არა, ავიღეთ  
ნაშალონ 1-ის დრო, წარმოვიდგინოთ მისი მრისხანება კაცობრიობაზე.  
თვალ წინ გვიდგება ნაშალონი თავისი ერთგული ფრანცუზებითურთ,  
ნაშალონი რომელსაც თავისი მოქმედების საგნად დაუნიშნავს მთელი  
ქვეყნის დამორჩილება მკაცრად ალექსანდრე მაკედონელისა. ეს ელ-  
ტვის თავის არის აღსრულებას, ელტვის ფრანცუზების გაზარდაშენის  
უცხო ტომების ხისხლის თვლით ნაშალონ საწინა—საბადებულზე. წარ-  
მოვიდგინოთ ამისი გადაშქრება ინჰანიაზე, გერმანიაზე, ავსტრიაზე,  
იტალიაზე, ეგვიპტეზე და სხვა მრავალ სამეფოებზე; მოვიგონოთ  
უკანასკნელად მისი მრისხანებითი შესება რუსეთში, სადაც ედება ბო-  
ლო მისს წინდულ მოქმედებას. თუმცა ბევრ ფრანცუზს, მკაცრ შატ-  
რიოტებს, საქებრად მიაჩნიათ ნაშალონის საქმეები, მაგრამ რომ შუ-  
დგეთ კეთილ-გონივრულ წერტილზე და ისე შევხედეთ ამ გენიოსს,  
როგორც ეძინან ზოგიერთი ისტორიკოსები, მაშინ ნათლად დაკი-  
ნასათ, რომ ფრანცუზები სტუევდებიან, რომელსაც თავი მოაქვთ  
ნაშალონ 1-ის საქმეებით. იმათ ნაშალონმა თუ არა ფერი დააკლო,  
არა ფერი შეუმტყობა. რამდენი ახალ გაზდა ფრანცუზი ინაცვალა და  
ანაცვალა მტრებს, რამდენი მიღლიონი ფრანკი 1) ფული მოინდომა  
მისხმა მხრეებმა ომიანობამ ანუ ვარონობამ! ახლა რავი ვნება მის-  
ცა მთელ ევროპას, ესეც რომ ზედ დაუმატოთ ნაშალონის საქმე-  
ებს, მაშინ დავათვასოთ, თუ რა კაცი ბძანებულა და რა საზებდობა

1) ფრანკი ფრანციცული ფულია—ჩვენ სუთშურისის შეადგენს.

მოუტანის ქვეყნისათვის — უნამეტნავესად ფრანგურებისათვის. შორტუ-  
გალიდგან მოკიდებული რუსეთადი, არ გარდაჩენილა არც ერთი  
სამეფო, რომელსაც ამ ნაპოლეონის დროს ათასობით ყოველი კაცი  
და ათასობით თემანი ფული არ დაეკარგოს. ნაპოლეონი თავისს  
ცდილობდა, ვისაც ებრძოდა, ის კიდევ თავისს და ამჟამი იყო სისს-  
ლის ღვაწი. მაშინ იქნებოდა საფრანგეთის შიქვე დამსობა, მშრალზე  
დაჩენა ნაპოლეონის ხელში, თუ მისს ბედზე არ დაბადებულიყო  
მისი დაუვიწყარი საფინანსო საქმას მინისტრი. ეს ხშირ-ხშირად გე-  
ნებდა თავის მეფეს რძიანობის უსარგებლობას, მარამ ამოდ. ამას არ  
უგონებდა არც მეფე და არც საზოგადოება, რომელიც ცდილობდა  
სხვა ტომების ჩაყვანას და ამით გაძლიერებას და ამას კი არ იფი-  
ქრობდა, რომ ეგ შეუძლებელი საქმი იყო და არც იაფად დაუფ-  
დებოდათ იმათ მაგვარი საქმი. იქნება, მკითხველთა, ზემო დაწერილი  
აზრების წავითხვის შემდეგ გაცრებით სთქვა: მაშ ნაპოლეონს, რა-  
მდის წინ მოელი ევროპა აქამდე მუხლს იდრეკდა, რომელსაც ზო-  
გიერთი ისტორიკოსები აღტაცებაში მოჰყავს, რომელსაც ესლაც ბე-  
კონი ფრანგურნი აღმოკოებენ, არა ფერი სარგებლობა არ მოუტანია  
არც თავის მამულისთვის და არც უცხო ტომებისათვის? არა, მკითხ-  
ველთა, არა. მე ამ სიტყვით «არა» ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ  
მართლაც ვეილას ფერში უსარგებლო ეოფილიეებს ნ პოლეონი. ამან  
მოუტანა სარგებლობა მამულს, მარამ ეს სარგებლობა ისე მცირდება  
ვნებაებისგან, რომელიც მისი წყალბით გამოსცადა საფრანგეთმა,  
რომ არა დიწხ ეს სარგებლობა საღამარყოფ.

დღესაც აღწერილ უგუნურ ლტოლვისათვის არ დაუნებებიათ  
თავი ხალხებს. მართლაც, ლტოლვა — დაიპყრას ერთმა ტომმა მეო-  
რე ტომი, ერთმა მეორის სარჩო-საბადებელზე იპარაძოხს, ისე აღარა  
აქვთ გამჯდარი ჩვენ თანამედროვე ხალხებს, როგორც მათ წინაპარებს  
ქონდათ; მაგრამ სრულებით კი არ არიან ესენიც განთავისუფლებულ-  
ნი ამ კაცობრიობისათვის მანებულ ლტოლვისგან. ახა ავიდეთ და  
გაკვიდეთ ესლანდელს სამეფოების მოქმედებაებს, ჩვენ ვნახვთ, რომ  
თუმა განათლება ეს ხალხის მოსსენებელი ლტოლვა გაუკეთილშო-



ბილეთის, მაგრამ ამ ლტოლვის ნათესურები კიდევ იმავეების მისს მოქმედებაში.

ქართველო! იმ მოკვლენებიდან, რომ ერთი ტომი ცდილობს დაიმორჩილოს მეორე ტომი, დაისაკუთროს მისი ავლა-დიდება, ცხადია, თუ რა დაჭირებს გამოსცდიდა ანუ გამოივლიდა ჩვენი სამშობლო «საქართველო». ეს თავის მხრით თავის თავზე სურს სხაგვანა და ამას კიდევ ამაზე ძრეულები სჩაგვიდნენ. ეს თავის-დაუზოგველად უბრძოდა იმ ტომებს, რომლებიც დაუდგომელად ცდილობდნენ მისს ახსრებას, დედამიწასთან გასწორებას. ბევრი ქართველი შექვედომია მტერს, რომ რა არი მისს შთამომავლებს მანინ არ დაეკარგა თავისუფლება. ქართველებს უბედურება უბედურებად არ მისჩნვიათ, თუ თავიანთ ჭერ ქვეშ ყოფილან. აი რას ეუბნება მსაჯული სოლომონი მეფე ირაკლის.

განზრასკა შენი, მეფეო, მაკვირვებს,  
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს  
აწად მიახნისთ უბედურება,  
თუ აქვთ თვისთ ჭერ ქვეშ თავისუფლება 1).

ჩვენ წინაპრებს ისე ჭყვარებათ თავისუფლება, რომ მისი დაცვისათვის უსმარათ ყოველგვარი სურსი. იმათ თავისუფლების სიყვარულზე ამოხს ის ფაქტი, რომ იმათ რამდენსამე საუკუნეს იგერეს მიკინვარე მტრები, მტრები, რომლებიც არა ფერში არა ჭზოგვიდნენ ჩვენი მამულის კაცს, რომლებიც მზად იყენენ, ჩაუეღანათ ქართველები ისე, როგორც რომელიცა ჩაუღანეს კარფაღენები. მსურვალე სიყვარული თავისუფლებისადმი განაცხოველებდა ქართველის გულს, ამამაცუდა მას. არც ერთ ტომს, არც ერთ ხალხს, არც ერთ სამეფოს არ გამოუცდია იმდენი რამიანობა, ამინაგამო უბედურება, რამდენიც გამოუცდია საქათველოს. ერთი მხრით თათრები, მეორე მხრით სპარსელები, მესამე მხრით ლეკები და სხვა და სხვა პატარ-პატარა ტომები არ ამლეკდნენ მის მოხუენებას. უითარესი მიხეზი ამ გვარს საქართველოს შევიწროებისა, როგორც სკვით ვთქვით, იყო მიმარ-

1) ნახე «ჩინგური» გვერდი 61.

თულებს ანუ მიდრეკილებს მოსხსენებულ ტომებისა ჩაუვლავთ სხვა ტომებსა და თვითონ მარტო უპარზავთ დედამიწის ქერქზე. ესენი სშირ სშირად წაეკიდებოდნენ ხოლმე ერთი ერთმანერთს და ამთი წაგიდებაც კი არ აყრიდა ხოლმე ხეირს საქართველს. ქართული ანდაზაა «აქლემები წაივიდნენ და გოზავი შუაში ამოჭყელიტესო». საქართველოსაც კინადამ ასე მოუვიდოდა ხოლმე. საქართველო ერთს მიუდგომოდა, მეორეს ეწეინებოდა; მეორეს მიუდგებოდა, მესამეს ეწეინებოდა, თუ კიდევ არავის მიუდგებოდა, მაშინ სამეფს ეწეინებოდა და შემდეგ ერთმანეთში მოკიგებისა, ერთად დაუწეობდნენ მას ბრძოლას. მეორე მიხესი იმისი, რომ ტომები, რომლებიც საქართველოს გარემოთს ესვივნენ ანუ ერთხენს, არ აძლევდნენ საქართველოს მოხვედრას—იყო სარწმუნოება. ეს უცხო ტომები სუ ძამადის სარწმუნოებისანი იყვნენ; ჩვენი წინაპრნი კი ქრისტეს სარწმუნებისანი. ზირველნი ცდილობდნენ შემოეტანათ საქართველოშიაც ძაჰსადის სარწმუნოება და ამისათვის ადგენენ სლმით საქართველოს. ჩვენი წინაპრნი ამ გვარი თავიანთ მტრების სურვილს ეწინაღმდეგებოდნენ და ამისგან მომთ შორის იყო დიდი სახსლის ღვა. თავისუფლების მოყვარე და სარწმუნოების დამცველი საქართველო როდესაც დატყუებდა, რომ თვითონ მარტო არ შექმლო თავის დაცვა, მაშინ მიჰმართამდა ხოლმე სხვა რომელიმე სამეფოს, ანუ ძაგ. როდესაც სპარსელები აღიჭურვებოდნენ მსგედ, მაშინ ის მიჰმართავდა ხოლმე, ოსმალებს, როდესაც კიდევ აღიჭურვებოდნენ ოსმალები, მაშინ ყიზილბაშელებს სთხოვდა ხოლმე შემწეობას ანუ სხვა სამეფოებს ძაგ. რუსეთს, ჰანას და სხვ. უგანასგნელ დროებებში შემწეობას უფრო სშირსშირად სთხოვდა ხოლმე საქართველო რუსეთის, რადგანაც ესეც მართლმადიდებელის სარწმუნოებისა იყო. ჩვენ გვსურს მოვილავანავოთ აი ამ მიმართობებზე საქართველოს მხრიდან რუსეთისადმი 1492 წ.-გან 1664-ის.—

II.

იქვი არ არის, რომ საქართველოს და რუსეთს ძე-



ლადეკე ქქონდათ ერთმანეთში მეგობრობა. იზიარებდნენ, როგორც ვიცით, ქვეყნად ცოლად ახსნესეთის ქალბატონი, ანდრია ბოლოლიძის შვილი გიდეკ იყო მეუღლე და საქართველოსა და დაუფიქრის თამარ მეფისა. აი ეს ორი ფაქტი, რომლებიც განაგრძობს ერთი აზრის აწერა რუსების მატანებში (1) სოლო მეორე ქართველების მატანებში. (2) ჩვენი ფიქრით ამ მოკვრობებში უკვე დააარსეს ორ ხალხს შორის დასახლებითი მეგობრობა; თუცა ამ გვარი მეგობრობის ნიშნებს არა ვხედავთ მესრითმეტე სუგუნის უგანასკელ წლებში, ამ დროდგან გი იწყება ხშირ-ხშირი მისკლა-მოსკლა საქართველსა და რუსეთ შორის, რომლის შემდეგი იყო პირველის ნებულობითი შეერთება რუსეთს 1801 წელში. ამ ხანით სამი სუგუნის და ცხრა წლის გ-ნმ-ვლობაში ჩვენ მეფეებს ეჭირათ მეგობრობის ოლი რუსების მეფეებთან. ეს ხანი შედგენს ოგს იმ გვარ გარემოებებისას, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე უჩადადნენ საქართველს პირქვე-დამსობას, ოგს იმ გვარ შემთხვევებისას, რომლებიც ძალას ატანდნენ ჩვენ მეფეებს ეთხოვრათ შემწეობა ძლიერ სამეფოებისათვის, რომ მოეგერებინათ მშინვარე მტრები, ოლებიც ელტოდნენ ქართველების გამამადანებას, მათი საღსოვნობის გაჭრობას.

მინამ ყველა საქრისტიანო მარბები შავი ზღვიდგან მოვიდებოდა კასპიის ზღვიდგან ერთი მთავრობის ქვეშ იყვნენ, იქამოდვე საქართველო შეადგენდა ძლიერ და არა ვისზე დამოკიდებულ სამეფოს, რომელმანც დავით აღმაშენებლის და დაუფიქარი თამარ მეფის დროს მიაღწია უღმატებულს გავითარებას, დიდებას და ძლიერებას. ეს დრო ისე ძვირფასია ჩვენთვის, როგორც ბერძნული ისტორიის პერიოდის დრო. ამ დროის მოგონებებთან არის მკიდროდ შეგავშირებული ბერი ისეთი ამბავი, რომელიც განხილვებს ქართველის გულს, გაამსხვევებს და განაღვიძებს მასში იმისთანა აზრებს, ურომ-

(1) ნახე: «Исторія Каразина» 2-ой, томъ. и. 12, стр. 159.

(2) ნახე «ქართლის ცხოვრება» ნაწილი 1-ი, გვერდი 285.

ლოთაც კაცი ჰკარგავს თავის კაცურ ხასიეთს. მეთორმეტე საუკუნეში საქართველო ყოველივე მხრით ჰყვარდა იმ გვარად, რომელიც შეეფერებოდა მაშინდელ დროს. ორი უმთავრესი ნიშანი განათლებისა: ვაჭრობა და ლიტერატურა, რომდენათაც შესაძლო იყო მაშინ, იყვნენ ბრწყინვალე მდგომარეობაში. ვაჭრობა ახსლოვებდა საქართველოს ევროპასთან; ლიტერატურა განაცხოველებდა და უწიქებდა მას გემოვნებას. ახალ გაზდა ქართველები, რომლებიც მიადებდნენ ანუ იღებდნენ განთლებას ათინაში და ოცნებით მიდიოდნენ იქ ყოველ წელი, ცდილობდნენ გადმოეკრათ ბერძნების განათლება ჩვენ მამულში და ენერგიულად ელტოდნენ მას, რომ თავიანთ ქვეყნის კაცები განათლებუნიანთ. თუ რა დწმენდილი გემოვნება და რიგინი შესეადულობა ჰქონდათ მაშინდელ განათლებულ ყმაწილ კაცებს განათლებასზე, კაცის რიგინ აღზდასზე, ეს ცხადათ სჩანს ჩვეგან დაუვიწყარ მუეტიის სიტყვებში:

ფილასოფოსნი შემოჰგებენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა,  
 ბატონი კაცსა ასაქებს და ჰკუას გამოცდილება,  
 ათასად გვარი დაუასდა, ათი ათასად ზდილობა,  
 თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარი შვილობა.

### შოთა რუსთველი.

საქართველო თავის მძლავრობის დროს ყოველთვის აძლევდა ხოლმე საქინსტიანო მსარეებს შემწეობას. ვინ არ იცის, თუ რა შემწეობა მისცა სარაწინელებიდან დანაგრეულს სომხეთს დავით აღმაშენებელს მს. ამან წარმოვა სარაწინელებს სატასტო ქალაქი ახნია და დაუბრუნა სომხებს, აგრეთვე არც ბერძნებს ავლებდა საქართველო შემწეობას. რომელსაც ოსმალებმა ანატოლიაში შეაგვიწროეს ბერძნები, მაშინ ამათ მიჰმართეს საქართველოს, რომელმაც აღმოუჩინა დიდი შემწეობა იმით, რომ მისცა, მათ საცხოვრებელი ადგილი თავის მამულში.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ დიჭება და ძლიერება საქართველოსი არ იყო სანგრძობი. ძონგოლებმა ჩვენს მამულს მოაკლეს თავის ძლიერება. ამათ გაუყვეს ეს ორ მეფეს, დავითს, ლაშ-გიორგის ძეს, და და-

უიოს მეფის რუსუდანის ძეს. შირველს (1) მისცეს სატასტო ქა-  
ლაქად თბილისი, ხალაო მეორეს (2) ქუთაისი. საქართველოს ორ  
სამეფოდ გაყოფას ქქონდა დიდი მავნებელი შედეგი მთელი საქართვე-  
ლოს საღისისათვის. ამ ორ მეფეს ქქონდათ ერთი-ერთმანეთში მისვლა  
მისვლა, მათ შორის არსებობდა თანხმობა, ამისთვის ამათ სულში  
გიდეკ არა სწამდა ის ვნება, რომელიც წარმოხდებოდა საქართველოს  
ორად გაყოფის-გან; მაგრამ ამათ შემკვიდრებებს მოუყარა რაღაც ხუშ-  
ტურმა და დაუწევს ერთი ერთმანეთს მტრობა. ამ სახით საქართველომ  
არა თუ არ დაქარვთა თავისუფლება, არამედ გაიყო გიდეკაც ორ ნა-  
წილად. ეს შირველი განყოფა განგრძობდა ას წლამდინ, მინამ გიორ-  
გიმ, რომელსაც ჩვენი მემატიანეები ეძახიან «ბრწყინვალედ» არ  
შეაერთა ერთად ჩვენი სამშობლო და არ შეადგინა ამისგან ერთი  
სამეფო. გიორგი ბრწყინვალემ ისახულა თავი მით, რომ განთავი-  
სუფლა თავისი სამშობლო მკვინვარე მტრების სულიდგან», დაიმორჩი-  
ლა ერისთავები ისე, რომ შავი ზღვიდგან მოკვიდებული გასპის ზღვამ  
დი სუფუკდა ერთ მთავრობა. ქართველების ცხოვრებამ დაიწყო  
მიმდინარობა თავისუფრად; შეუდგნენ ჩვენი წინაპრნი ეკვლეისების  
განსლებას, ქალაქის გამშენიერებას, თავიანთ ცხოვრების მოძარტვას.  
მეფე შეუდგა დამორჩილებული მთის საღსების განათლებას. ოსეთიდ-  
გან დაიბარა თავი გაცუბი, დაუწერა მათ სჯულები და მისცა ბრძანე-  
ბა, რომ საქმეების გარჩევაში ესმარათ ეს სჯულები. შესანიშნავია,  
რომ გიორგი ბრწყინვალე მთის საღსებზე თავ გაცუბად აყენებდა ქრი-  
სტიანებს, რომ რა არი იმათში დაემკვიდრებინა განათლებასთან მართლ-  
მადიდებლობითი სარწმუნოებაც. ერთი სიტყვით, გიორგის ორმოცის  
წლის მეფობამ გაიარა სასკლერგანად. იმედი იყო, რომ საქართველო  
გაქუკებოდა განათლების გზას, იმ გზას, რომელიც გამოიკვლიეს და-  
ვით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს, თუ გიორგი ბრწყინვა-  
ლის შვილი-შვილის მეფობის დროს არ გამოხინროდა უმკვინვარესი  
მტერი, რომელიც ვის ქვეყანაშიაც შედიოდა, სულ მტუტას ადენდა.

1) 1240 წ.  
2) 1222 წ.

რომელიც ჩასახლანაკათ არა ვინა ჭზოგავდა. ეს მტერი იყო თემურ-  
ლენგი (ლენგ-თემური). 1387 წელს თემურლენგი თავისი ურინცივი  
ჯარით მოადგა საქართველოს. ჩვენ მტერს დაადგეს (როგორც იტ-  
ვიან ქართველები) ის დაჭირება, რა დაჭირებაც მაშინ საქართველოს  
დაადგა. ბაგრატ შერთსემ თავისი უკანასკნელი წელნი, ამის შემკვი-  
დრებმა გიორგიმ 7-ემ და კონსტანტინემ თავიანთ ფლენი გაატარეს  
ბრძოლაში ამ მძვინვარე მტერთან. თემურ-ლენგი სიკვდილის შემდეგ,  
როდესაც კონსტანტინემ ძირელ შეავწროა თათრები და დაწყო გა-  
ძიურა საქართველადამ, მაშინ ამათ მიმართეს რამდენს, რომლებიც  
დიდადაც მიესარჩენ და შემოადგენს საქართველოს. თურცა ოსმალე-  
ბმა ინცვალეს კონსტანტინე, მაგრამ მინც ვერა გააწესნა და განე-  
ბეს ომს თავი. ამ ნაირად საქართველოს ერთ მთავრობა დაჩნა კი-  
დეშ შეუცვლელად.

კონსტანტინეს სიკვდილს შემდეგ ავიდა ტახტზე გიორგის  
შვილი ალექსანდრე. ამან მოუღო ბოლო სრულებით თავის მტრებს  
და შეუდგა საქართველოს ფესზე წამოდგენას. ეს ცდილობდა აღმოე-  
ფსვრა სრულებით ნათესურები თემურლენგის შემოსულისა: ალექსან-  
დრემ იმეფა ოცი წელი და ამ ხნის განმავლობაში შეძლების გვარად  
ცოტათი მოასუელიერა საქართველო; რისთვისაც შთამომავლობამ მის-  
ცა მას სახელი აღმასწავლებელი ასუ დიდი. ჩვენი მემატინეები ძალიან  
ქებას ასმენ ამას. მაგრამ ამის სასული უკვდავი მაშინ შეიქმნებოდა და შთა-  
მომავლობაც ძვირად მაშინ დაათესებდა, რომ თავის გულგუთილობით  
და წინ დაუსკდაობით, საქართველოს საუბედუროდ თავის სამეფო არ  
გაენაწილებინა თავის შვილებისთვის.

ორმოც და რვა წლისაი დიდმა ალექსანდრემ, თავის წინ დაუ-  
ხვდაობით, დაიბარა თავისი შვილები და გაუყო მათ საქართველო 1442  
წელსა. ვასტანეს ჩაბარა აბსაზეთი, ასოთი, სვანეთი, ოდიში, აღანი,  
გური, და იმერეთი, — უწოდა სახელათაც იმერეთის მიყო. მორე  
შვილს დიმიტრის დაუნიშნა ქართლი, ჩურქეთი და ათაბეგის მარ-  
ნა; უკანასკნელს შვილს გიორგის მიბარა ვახეთი და მთელი შირვანი  
დერბუხდმდინ. ამ ნაირად ჩვენი საქართველო ვერც არ იყო კიდე  
სრულიად მოსურელიაბული, რომ გაჭეკეს სამ სამეფოდ: ქართლის,



კახეთის, და იმერეთისა. 1) ამ განაწილებამ ვეკლასე უფრო ბოლო მო-  
უღო საქართველოს და მიიყვანა სასრინავსე. გარდა სამ ნაწილად  
გაყოფინა — თვითიული სამეფო განაწილდა ბოლო-დროს ჰატარ-ჰატარა  
მაცრებად, ასე რომ უკანასკნელ დროში, თუძცა სამივე სამეფო არ  
იყო ძრეულ დიდი, მაგრამ ოცდა ექვს სამეფოებულმდინ შეადგენ-  
და. ამ უბედურებას მოჰყვა ისიც, რომ ერისთავები აღარ ემორჩი-  
ლებოდნენ თავიანთ მეფეებს, ერისთავები, რომლებიც დავით VIII დროს,  
რომელიც გამეფდა 1505-გან, სრულებით გაუდგენ თავიანთ მეფეებს  
და აღარ მისცეს შემწეობა, რომ მოეკერებინათ სასოგადო მტრები:  
სპარსელები და თურქები.

ამ ნაირ ნაწილ-ნაწილად სამეფოს დაფლეთის ძანუბელი შედუ-  
გი ცხადია უოკელი კანისთვის, უმეტესად იმ ქვეყანაში, როგორც  
ჩვენი ქვეყანას: — მთელბული ერისთავები დროს-განმავლობაში მოუძ-  
ლურდნენ, აღარ მისდევდათ არაქათი, რომ დაეცვათ თავიანთი უფლება  
და იმულებულ იყენენ მიემართათ სსვა სამეფოებისათვის, რომ რა  
არის თავი როგორმე დაეცვათ და მტრებს არ ჩაუყვანათ. —

ქართული ანდასას: «ქურდს რა უნდოდა და ბნელი ღამეო»  
ჩვენ მძვინვარე მტრებს ასე მოუიდათ. იმათ ესურდათ, რომ საქართვე-  
ლო დაუძლურებულყო, დასურტებულყო, დანაწილებულყო, და ეს სუ-  
რვილი აურსრულდათ. საქართველოს აღარა ექნადა ის შეკრებული ძა-  
ლა, რომლითაც წინეთ იმათ იკერებდა სოლმე; ამით ისარგებრეს თუ-  
რქებმა და სპარსელებმა და დაუწყეს საქართველოს აქეთ-იქით შემოდ-  
გომა. შირველთ დაუწყეს შევიწროება საქართველოს დასავლეთის ძა-  
სრებს: სამეგრელოს, გურიას, საათაბაგოს და იმერეთს; სოლო მე-  
ორებმა აღმოსავლეთის მაცრებს: ქართლს, ვასეთს, სომხეთს და გა-  
რდაბანს. აი ამ სძავულ გამოუსავალ მდგომარეობაში იყო ჩვენი სა-  
ქართველო, როდესაც მან მოიგონა ძველი რუსეთთან მეგობრობა და  
დაიწყო სშირი მისვლა-მოსვლა მასთან.

1) აქ უნდა შევნიშნათ, რომ გაყოფა საქართველოსი სამ სამე-  
ფოდ აღუქსანდრესგან ვერეთ არ არის კიდევ დამტკიცებული ის-  
ტორიაში.



რადგან ჩვენ ამ სტატიიში გვაქვს საქმე ამ მისვლა-მოსვლასთან, ამისთვის, მკითხველს, მე აქ მივუძღვებ შენ ყურადღებას მსოფლიო იმ ფაქტებს, იმ მიზეზებს, იმ ისტორიულ მოძრაობასზე ჩვენი სამშობლოს ხალხისას, რომელიც ამ საგანს შეეხება; ვიღაზარაკებ იმ რუსეთის და საქართველოს მეფეებსზე, რომლებიც სელშიატი რუსეთსა და საქართველოს შორის იყო პოლიტიკური მისვლა-მოსვლა; ვიღაზარაკებთ ამ მეფეებსზე იმადგინად, რომადგინათაც საჭირო იქნება ამ სტატიის საგნისათვის.—

## III

როდესაც რუსეთის დიდმა მთავარმა იოანემ, შავი ბასილის შვილმა, (*сын Василия темного*) დაიჭირა ეაზანის ქალაქი, მაშინ იმის მძლავრობა და დიდება მოიფინა მთელ კავკასიის მიწებში. ეს იყო მიზეზი, რომ ყველა კავკასიის ხალხს გამოუვსავს მას ელხები, რომლებსმაც ქართველებიც ერივნენ. ქართველი ელხები, როგორც აჩვენებს კარამზინი თავის რუსეთის ისტორიაში, 1) მოსულან მოსკოვში 1492 წ. და ამ ელხებს ჩემეკით: სასელები: ნარიმანი და დამიანი 2).

ჩვენ ვთქვით, რომ დიდმა ალექსანდრემ საქართველო გაუნაწილა თავის შვილებს 1442 წ. აი ამ დროდგან სამივე სამეფოებში რიგ-რიგზე ადიოდნენ ტასტზე მეფეები. ესეთის მეფის გიორგის, ანუ ლეონის, როგორც ეპასიან ზოგი ერთნი მემატანენი, სიკვდილის შემდეგ ავიდა ტასტზე მისი შვილი ალექსანდრე 1-ლი (1492 წელში). ესეც ისე უნდა დამოწმდებოდა სწავსელების შაჰის ბრძანებებს,

1) ნახე *Дополнение къ 6-му тому Исторіи Русскаго Государства Карамзина.*

2) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კარამზინის ნაჩვენებ დოკუმენტში ამ ორი პირის გარდა, არიან მოსხენებულნი ორნიც; სოზემარუმი და შეკენტი. ამის აზრით ეს ორი სასელი, როგორც ქართული სასელები არ არიან; ამისთვის შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სასელები სხვა ტომების ელხებს ერქვათ, რომლებსაც გაუარეს ჩვენებამ რუსეთში წასვლის დროს და წავიდნენ ერთად.



როგორც ემოწინილებოდა მამა მისი გიორგი; ჯერეთ ტასტრე არ იყო ასული, რომ მისი სული გრგვინავდა, რომ ჭსედავდა თავის მამის დამოწინილებას შაჰის ბრძანებისადმი; რომ მოიგონებდა, თუ მისმა მამამ, დროთა-ვითარებისგან შევიწროებულმა, გაუცხავა რამდენიმე ღამისი ქალ-გაყი შაჰის, ეს მოელოდა უფრო უმეტეს უბედურებას თავის მეფობის დროს და ეძებდა ღონის ძიებას, რომ ამასზე მეტი უბედურებაები თავიდაც როგორც მოეხსენებოდა. აი ეს იყო უზიარებელი მიზეზი, რომ შეუდგა რუსეთთან მეგობრობის აღდგენას. ამ მიზეზს ის მიზეზიც დაემატა, რომ იმ დროს რუსების სელმწიფის დიდი მთავარი იოანეს, შავი ბასილა შვილის, მძლავრობა, შემდეგ მისგან ეზანის ადებისა, მოიფინა მთელ გაკვასიის მხარეში და ამ სიმამ მიაღწია ვასეთის მეფე ალექსანდრემდინ. დასაკვირვებელია ეს გარემოება უფრო გაამხნეკებდა და გააბედინებდა ალექსანდრეს რუსეთთან მეგობრობის აღდგენას. ახვლა ამისი ტასტრე და ელჩების გაგზავნა რუსეთის დიდ მთავარ იონესთან, შავი ბასილა შვილთან, თითქმის ერთი იყო. ალექსანდრე ავიდა ტასტრე 1492 წელს ამავე წელში გაგზავნა რუსეთს ელჩები და მისწერა რუსეთის მეფეებს წერილი. ამ წერილით მეფე ალექსანდრე აწა სთხოვდა რუსეთის მეფეს შემწიებას, და ანუ ისე უჭირდა იმ დროს, რომ გაუმეგობრებლად ეთხოვნა მისთვის პირ და პირ შემწიება. ამის აწრი ის იყო, რომ ვერ გამოეგობებოდა და მერე, თუ გაჭირვება მიადგებოდა, ეთხოვნა შემწიება. აი ამ გვარი აწრი იყო პირველი მიზეზი იმას, რომ მეფე ალექსანდრემ მისწერა რუსეთის მეფეს მეგობრული წერილი. ამ წერილში თავის თავ ეძახის იოანეს მხარეს, სოლო რუსეთის დიდი სემწიფე იონე გიქებით ზეტაში აქუჯ 1) — ეძახის მას: აღიდ მეფეს, ქრისტიანობის იმედს, სწავლათ ყურის მდებებელს,

1) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ ხალხს; როგორც ყველა ასოიელს, ხეულებად ჭქონდათ წერილში თავიანთ თავი დაემდაბლებინათ, სოლო ვისაც სწერდნენ ის გი ზეტაში აუყუნათ. ვინც არ იცის, რომ ამ გვარი სასიათი ჭქონდათ ქართველებს, იმას გააკვირვებს თავის შინაწრით ვასეთის მეფის ალექსანდრეს წერილი, და ხსვა დასსვა დასკენს შეადგენინებს ამ მეფის მდგომარეობასზე.

უკვლავ შეეუბნა ჭეშმარიტ გამოსამართლებელს, ქვეყნის დამამშვიდებელს და წმინდა ნიკოლოზის ერთგულ მლოცველს, ჭეშმარიტ ამასრულებელს წ. ნიკოლოზის შუაშემსახურს. 1) აღექსნანდრეს ამ ერთი წერილის მეტი არ გაუგზავნა იოანესთან. მიზეზი ამისა ალბათ ის იყო, რომ საქმე ისე არ განსწავლდა, რომ რუსების შეფინთვის შემწყობა ეთხოვნა და ამითი თავი დაეკავებინა. თავის შეფობა ამან ვარგათ გაატარა; მხოლოდ 1560 წ. იხმალ შაჰმა შირვანის სუპერობით ცოტა შეამოკოთ და აგრობობინა, რომ იმის საქმეც ცუდად იყო. რომ თავის საშეფო გამოკისნა მკინავარე მტრების სელადგან ამან მოიგონა თავის მამის პოლიტიკა. გაგზავნა თავის შვილი დემიტრი შირვანში და გაატარა რამდენიმე ასალ განდა ქალ-კაცი, რომ ამას იხმალ — შაჰინათვის მიულოცნა გამარჯვება მტრებსე და ეს ქალ-კაცი მიერთმია ფეშქაშად. თუმცა ამასთანა საქმე საძერი არ იყო შეფუ აღექსნანდრესთვის და უშეფოთებდა სულს; მაგრამ, რადგანაც სსვა გზა არა ქქონდა რა და რუსეთიც შორს იყო, ამისთვის იხმარა ეს საქმე შუამავლობად უბედურობიდან თავის სამწყსოს გამოსხნისთვის.

მეფე აღექსნანდრე შეძლების გვარად ცდილობდა თავის ქვეშევრდობების ცხოვრების გაუმჯობესებას და დაცვას, რომ ირცხო ტომებს მისუსტებული, ძალდაკლებული კასეთი არ ჩაეყვანათ და არ მოეკლოთ ხალხისობისთვის. საუბედუროდ ამის შეფობა არ იყო სან გრძლივი. ამის მხრუნველობა თავის სამეფოზე შეაყენა მისმა შვილმა გიორგიმ. როგორც მოგვითხრობენ ჩვენ შემატინანი ამ გიორგიმ მოკლა კასეთის ერთგული მეფე აღექსნანდრე 1511, რისთვისაც შთამომავლებამ უწოდა სასული მამის მკვლელისა» ავიგორგი».

აი ამ ნაირად, ამ მიზეზების გამო რუსეთს და საქართველოს შორის 2) აღდგა ძველებური მეგობრობა და ისევ შედგა 1558 წლამდინ. ამ წელიწადში კი ისევ დაიწყო მათ შორის მისკლა-მაკისლა. აღექსნანდრეს სიკვდილს შემდეგ. ჩვენ მტრს დაადგეს ის დაჭირება,

1) ნასე. *Ист. Русского государства*. 6-й т. и. 5. стр. 143.  
 2) მე აქ თუმცა ვხმარობ საქართველოს, მაგრამ აქ უნდა ვიგუა ლისმლოთ კასეთი.





რს დაჭირებაც საქართველოს მიუყენეს სპარსელებმა. ვაჰა-გიორგიმ იძუება სულ ორი წელიწადი და 1513 წელში მამასთან უსამართლოდ მოქცევამ მოუღო მას ბოლო. ამ შემთხვევით ისარგებლა დავით მეჩვე, ქართლის მეფემ, და შეუერთა თავის სამეფოს კასეთი. ამ ამბით გამსწვდა დავითი და როგორც თავისუფლების მოყვარე, მონადომა თავის სამშობლოს გამოყვანა მტრების უიზიღბაშების დამოკიდებულებისაგან. ამ გვარი სურვილი ჩვენ საქართველ კაცს ააფრთხილებს. შაჰ-ისმაილი განჩისხებით წამოვიდა საქართველოში. დავითმა კერ შეიმაგრა თავისუფად მიმდგარი მტერი, და ამისთვის საქართველო მიეცა დიდ უბედურებას. შაჰ-ისმაილმა დაიჭირა თბილისის ქალაქი 1518 წ. და პირველ დასტა კარგი შენობები და ეკლესიები. ციხის კეთილდღეობის მომშლელმა მოაცილა კასეთი ქართლს და დასვა იქ მეფედ ვაჰა-გიორგის შვილი ლევანი. თუმცა დავითმა შემდეგ შაჰ-ისმაილის სიგვდილისა კიდევ გამოყარა თავის სამეფოდგან მტრები; მაგრამ იმას აღარც ხალისი, აღარც გული, აღარ ძალა არ მისდევდა, რომ თავისი აღსრულები სიტასტო ქალაქი თესზე წამოეყენებინა და ამისთვის მეფობა გარდასტა თავის ძმას გიორგის და თვითონ ბერათ შეიმოსა.


ლეონ მეორე თოთსმეტი წლისა იყო, რომ შაჰ-ისმაილმა მისცა მას კასეთი. როგორც შეგნიშნეთ საქართველოში ამ დროს დიდი არეულობა იყო. ჩვენ სამშობლოს გარეშე მტრები აღგნენ, უჭიდნენ მას მოკლუბას თავისუფლებისას და ხალხისწინას, რომლებიც უკვლავზე ძვირფასია ყოველი ხალხისთვის. ქართველები ცდილობდნენ, რომ მტრებს არ დამორჩილებოდნენ; გიორგიმ ქართლს და ლევანმა კასეთს ცოტათი მოურთუნეს სული. ამათ ტკბილი მეგობრობა დაიწყო ერთა ერთმანეთთან და იმათი ამ გვარი მეგობრობა დიდი სსარგებლო იყო საქართველოსათვის. ამითი ის მანც იყო კარგი, რომ ისე აღარ უსიკბდნენ ერთი ერთმანეთს მძვინკარე მტრებს, როგორც სხადობდნენ იმათი შაჰები. რამდენიც ხანა გადაოდა იმდენი ამ ორი მეფის ხელში უფრო და უფრო ღრუნე მოდიოდა საქართველო; იმდენად უფრო უტკბებოდათ თავისუფლება. ცოტა ხანს საქართველოში ისე მიწინადად ეკვლავთერი, რომ აჩსაილამ აღარ ისმოდა

მტრების სმის ჩსრიალი. აჭამამდე ჩვენი მემამულენი იმას ცდილობდნენ, რომ ისინი შეკინებოდა მტრებს ან ჩაეყვანათ და ახლა კი შეუდგნენ იერუსალიმის გამოსასას ურწმუნოების სელიდგან. მემატანე ვასუშტი მოგვითხრობს, რომ 1524 წ. სოლომონის სულთნის სიტყვით ვასეთის მეფე ლევან 2-ე, ქართლის მეფე გიორგი, იპერეთის მეფე ბაგრატ და ათაბეგი ვარკვარე მივიდნენ ჯარით იერუსალიმში უფლის საფლავის გამოსასსნელად ურწმუნოების სელიდგან. ეს ფაქტი საკმაოდ ამტკიცებს, რომ საქართველო ამ დროს ცოტათი მოდონიერებული იყო.

რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო ლევან მეორე ამაგრებდა თავის სამეფოს. ამისი ასეთი ძლიერება ან მოსწონდა შაჰს და ყოველთვის ცდილობდა მალულად ეგრო რამე ვასეთისათვის; აი ეს იყო მიზეზი, რომ თუმცა 1536 წელს დაუვაკებით მიიღო შაჰმა ლევანი, მაგრამ მისცა ჩუმი ბრძანება შირვანის მეფობელს ასანბეკს ყოველივე მხრით ეგრო ვასეთისთვის. თუმცა ლევანმა, რომელსაც შთამომავლობამ მხეობისთვის მისცა სასული «დიდი», დაამარცხა ასან ბეგი და რამში მოკლა და ამის შემდეგ მიუმატა თავის სამეფოს თუშეთი, ფშავეთი და სევსურეთი, რომლებიც წინეთ მას რამე მოაწილებოდნენ; მაგრამ სპარსელების გავლენა ვასეთზე იმ დროს ისეთი დიდი იყო, რომ რუსეთის დიდ მთავარს იოანე გროზნისს (Грозный — ძმისსახე) სთხოვა ჯარი ლევანმა ვასეთის ცისეების შესამარტებლად. იოანე მრისსახემაც (Грозный) პატივი სცა ამის თხოვნას და გამოუგზავნა ჯარი. მაგრამ როდესაც შეიტყო ეს ამბავი შაჰ თამაზმა, გაცხარდა და შემოუთვალა ლევანს, რომ იმას უკანვე გაუბრუნებინა რუსის ჯარი. ლევანს შაჰ-თამაზის ბრძანება რადგანაც შეშინებია აუსრულებია, რომ სპარსელებს ან ამოუწვიტათ რუსის ჯარი და შირვანად ან გამოსულიყო იოანესთან. ამ ფაქტს მოგვითხრობს ჩვენ ვასუშტი, რუსების წყაროებში კი ანაიფი ან არის ამასე, მხოლოდ რუსების წყაროებიდგან ის კი ხინან რომ, ლევანს 1558 წელში მიუწერია იოანესათვის წერილი და გამოუცხადებია თავის სურვილი, რომ ყოფილიყო მისი სარჯის მძღველი. აი რას ამბობს ვეტერი *Историческое изображение*: «იპერეთის მეფეს



უნდადა გამხდარიყო ნენი ქვეშევრდომი». ეს შემტანე თუმცა არ ამბავს, თუ რომელი ივერიის მეფეს უნდადა გამხდარიყო რუსეთის ქვეშევრდომი, მაგრამ შეუცდომელად შეკვიპილია ვსთქვამთ, რომ აქ არის ღაზანაკი ლევანსუკი, რადგანაც მისეილ თეოდორეს მისგან მიცემულ თეიმურაზისადმი რუსკინებტში არის მისხსენებული ამის სასული. — ამ სასით ლევანს თავის მეფობის დროს ორჯერ გამოუგზავნია ელჩები ირანსეთს, ერთი 1536 წ., მეორე 1558 წელს. ზოგი ერთნი ფიქრობენ, ვითომ ლევანს მართლ ერთხელ გაცვზავნახს წერილი რუსეთის მეფესთან და ამ ორ ზემო მისხსენებულ ფაქტებს ერთ ფაქტად სთვლიან; მაგრამ ჩემის აზრით ეს ასე არ უნდა იყოს. ვასუბტი სულ სხვანე ღაზანაკობს და ავტორი *Никоновской мтоти-ცი* კი სხვანე. ზირველი ღაზანაკობს იმაზე, რომ ლევანს უთხოვინია ჯარი ირანსეთის კასეთის ციხეების დასაცველად, ხოლო მეორე იმაზე, რომ ივერიის მეფეს ხლომეობა გამხდარიყო თავის სამეფოთი ქვეშევრდომი ირანნე მრისხანესი. 1536 წ. თუმცა სხარხელეების გავლენა დიდი იყო კასეთზე, მაგრამ ლევანს მანც ისე არ უჭირდა საქმე, რომ ეთხოვნა ირანსეთის საქართველოს მიღება თავის ქვეშევრდომ მხარედ. 1558 წელს კი ცრუ მდგომარეობაში იყო ლევანი. ამ ხანებში დიდი არეულობა იყო ქართლში. ერთი მხრით ოსმალები (თურქები), მეორეს მხრით სხარხელეები ადგენენ ქართლს და უზირუბდენ ახარებას; ქართლის მეფე ლუარსაბი ზატრიოტულის გრძნობით და თავდაურსოგველად ეობრდა მტრებს და მამაცურად იკრებდა მათ, რისთვისაც შთანამავლობამ მისცა სასული «დიდი», — ხოლო ბოლომდროს შაჰ-თამაზმა, ისმილის მეშვეობდრემ, თავის ჯარით შემოესია თფილისის ქალაქს და მტრუტა ადინა ყველაფერს. — თუმცა ლუარსაბმა სატასტო ქალაქი ცოტა სნობით დაიბრუნა კიდევ, მაგრამ შაჰი მეორეთ შემოესია ქალაქს და დაიპურა იგი. ლუარსაბი მწარედ გულდაკოდილი დადიოდა მთებში, ჭკრებავდა იქ ჯარს და ეცემოდა სხარხე-




ლებს 1558 წ. შინამ სიკვდილმა ამის რძეში ბოლო არ მოუღო, შინამ თავი არ დაუნებებია ცდილობისათვის, რომ გამოესხნა სამშობლო მტრების სულიდან. აი ამ მდგომარეობაში იყო ლევანის მომიჯნავე მეფე ლუარსაბი; აი აქედან ცხდათ სხანს, თუ ლევანმა რისთვის ითხოვა საქართველოს შეერთება რუსეთთან. ის უტყობდა, რომ ის უბედურება, რა უბედურებაც ლუარსაბს ადგა, ეწვეოდა ამასაც და ამისთვის წინადაცე შეუდგა ამ მომავალ უბედურების თავიდან ცილებას. არც რუსების და არც ქართველების მატანებში არის მოხსენებული, თუ რა შედეგი ჰქონდა მეფე ლევანის თხოვნას ირანისადმი. შესაძლებელია კაცმა იფიქროს, რომ რადგანაც მაშინ რუსეთს თავი არ ჰქონდა შეჭმობდა საქართველოს მტრებს, ამისთვის ირანსაც თხოვნა არ აუხრულა ლევანს; გარდა ამისა რუსეთს არც ეცალა კასეთისათვის; ამის იმ დროში დიდი ბრძოლა ჰქონდა თათრებთან და თვით 1558 წ. ლივონელებთან 1).

გარემოებები ისე მოეწინა, რომ ლევანის მეუბის დროს კასეთს არ შეეძინა ის უბედურებები, რა უბედურებებაც ითმენდა ქართლი. ლევანი გარდაიცვალა 1574 წელში და დაუტოვა მოღონიერებული სამეფო. ამის სიკვდილი და კასეთის უკან-უკან წასვლა ერთი იყო.

1574 წელში ავიდა ტანტზე ალექსანდრე მეორე, ლევან მეორის შვილი. ამის ტანტზე ახვალა არაფრად არ ეპიტნავათ იმის ძმებს ალი-მირზას, ვასტანგს და ხოსროს. ამათ დაუწვეს ალექსანდრეს რძე, და ამის შედეგი იყო მათი სიკვდილი. თუმცა ალექსანდრემ გაიმარჯვა, მაგრამ ძმების ბრძოლამ ბევრი ემაწვილი ქართველი ინცვალა და მათი მოკვლა კასეთს თავისი ღანუ. კასეთზე ყოველთვის ეღრინებოდა გუელი შაჰ-თამაზს და ეძებდა მიზეზს, რომ მშვიდობის ზიარება დაე-

1) ნახე — *Краткие очерки русской истории Иловайского*, 140 გვერდი.



რღვი და ერთი ძალიან მიესუსტებინა ის; ამას გულისდრენამ უფრო მოუმატა, როდესაც გაიგო ალექსანდრეს შვილის ირაკლის წასვლა სტამბოლში სულთან-მეორე სელიმთან. შანშა ის არ იცოდა, რომ ირაკლი თავის მამის შემოსწორა და გაეჭა იქ 1) და ფიქრობდა, რომ ვითომ ალექსანდრეს გაეგზავნოს საზოგადოებრივი საქმისთვის. — ამ მიზეზის გამო შანშა-თამაშმა მოსთხოვა ალექსანდრეს დამოწმებულობა და ამანათად სთხოვა უმცროსი შვილი კონსტანტინე. კონსტანტინე შვიდი წლისა იყო, რომ მამამ მისცა შანშა-თამაშს, რომელმაც გაამაჟმადიანა და გასარდა კასეთის საუბედროდ. ალექსანდრემ კარგად იცოდა, რომ შანშა-თამაშს გული ეძღვრებოდა კასეთს და ეს საქმე აშეფოტებდა და აძებნიებდა დონის ძიებას თავის სამშობლოს დასაცველად მომავალი უბედურებისაგან. —

ამ ხანებში ქართლიც ძალიან შეავიწროვეს ოსმალებმა და სწარსელებმა. სიმონ ზირველს, დიდი ლუარსაბის შვილს, ასირებული დაჭირება დაადგა. ეს თუიცა მამაცურად ებძოდა მტრებს, მაგრამ ისე ძრეული იყო მტრების გავლენა ქართლზე, რომ ამისი მსნეობა გელაჩაფრს შეელოდა ჩვენ მამულს. ამას მტრად გამოუჩნდა თავისი ძმა დავითი, რომელმაც მაჟმადიანობა მიიღო. ეს სწარსეთის მოვარველობით კარგა ხანს მეფობდა თბილისში. თუიცა სიმონმა, რომელსაც შთამომავლობამ მისცა სახელი «დაიდებული», თავის მამაცობით მოამწვედია თბილისში და აღარსად უშეებდა დავითს, მაგრამ ამითი მანც გერა ცანდარა და თვითონ ჩაუვარდა ხელში სწარსეთის შანშა სულაბენდს. ხოლო როდესაც ოსმალებმა ისარგებლეს სიმონის სამეფოს დაობლებით და ლალა-ფაშამ დაიპყრა თბილისი და ერეკანი და მოსთხოვა შანშა, რომ მას დაეთმო ოსმალებისათვის დამოწმებელი ქალაქები, მაშინ შანშა გამოუშვა ტყვეობიდან სვიმონი, რომელიც თავის

1.) ნახე ცხორება მეფის თეიმურაზ ზირველისა, აღწერილი ალექსანდრე მეფის არჩილისაგან, 3 გვერდი.

კისებურად შეება ოსმალებს და მსწრაფლად გბმინსნა თავის საყვარელი სამშობლო მათი სელიდგან. აი ამ მდგომარებაში იყო ალექსანდრე მეორეს მეზობელი სვიმონი თავისი სამეფოთი. ცნადა, რომ ამისთანა უბედურება ქართლის ბეკ ნაირად აფიქრებინებდა კასეთის მიუხედავად, ბეკ ჯერ გაუფრთხობდა ძილს და აუშორობდა გულს. ეჭვი არ არის, რომ ალექსანდრეს, ჩვილი გულის პატრონს ყოველდღე ექნებოდა ამ უბედურების ღოდინი. გარემოებაები გარემოებაებს ემატებოდა კასეთის ახსრებისთვის და სხსნარი კი არსაიღამ ჩნდებოდა, რომ ალექსანდრეს თავის სამეფო დაეტვა. თვინიერ ამ ნახსენებ გარემოებაებისა, რომლებიც უქაოდნენ მთელ საქართველოს შიჩქვე დამსობას, საღონისობის მოკლებას, გამოჩნდა ის გარემოება, რომ ოსმალებმა მაგრად ფეხის წადგმინათვის საქართველოში, ამის დასუსტებისთვის და ადვილად დაპყრობისათვის, მოჭთენეს აქ ჯგუფ-ჯგუფად თავიანთ თანამოაზრეულ სავსნი, რომლებმაც თვითუკლად შეადგინეს საკუთარი სამეფოები. ამით ეჭირათ თითქმის მთელი კავკასიის მთები. რადგანაც ესენი კასეთზე უფრო დასავლეთულნი იყვნენ, მინამ ქართლზე, ამისთვის კასეთს ადგა ამათგან დაჭირება. მსეცურად დაეტყობდნენ მას, რასაც მჭკრამდნენ სელს, ყველა თან მიჭქნდათ; ამით რამდენი ქალ-ვაჟი მოაკლეს ჩვენ სამშობლოს. ყველასე საშიში და მავნებელი კასეთისათვის იყო შიკვალის ორდა, რომელსაც ჭქნდა ბინა დაღისტინის მაზრასში.

მტრების დასავლეთითმა მეზომლობამ, ძალის ნაკლებობამ მათი მოგერებისათვის, სპარსეთის შაჰების გულის ღრენამ კასეთზე, მთელი სამეფოს დაუძღურებამ და დასუსტებამ მოაფიქრებინეს ალექსანდრეს მიმართვა მოსკოვის მიუხედავად და მოვარკვალბის თსოვნა. 1586 წელს გაუგზავნა მან ელჩები 1) სელსწიფე თეოდორე იოანეს ძეს და

1) ელჩები იყვნენ: მღვდელი იაკიმე, კირილე ბერი და ერთი კიდევ ვიღაც ზურაბი. ნახე *Исторія русского государства Карамзина; дополнение къ 10-тому и 1-ой главѣ, 115 გვერდი.*



აი სსკათა შორის რას ამბობდა ალექსანდრე თავის წერილში: «ქრისტიანობას დაუდგენენ საშინელები ცუდნი დრონი, რომელსედაც იწინასწარმეტყველებს მსაკალთა წმინდა მამათა. ჩვენ რუსების თანამორწმუნე ძმანი, კვხვით. ვიტანჯებით ზოროცტი ხალხებისაგან; მხოლოდ მარტო შენ, მართლ-მადიდებელ გვირგვინოსანო შეგიძლიან გამოიხსნას ჩვენი ცხოვრება და სული ამ დაჭირებულგან. გიკრავ თავს ჩემი ხალხთა, 1) ვიქნებით სამუდამოდ შენი.» სსკათა შორის ალექსანდრე სწორდა თვედარე იოანეს ძეს, რომ მას გამოეგზავნა ოცი ათასი მხედარი და დისტანციის თავადის ანუ მოვლადელის შაკვალის წინააღმდეგ, წაერთმეა მისთვის სატასტო ქალაქი-თარგი და დაეჭირა კასპის ზღვის ნაპირები, გაესწა გზა რუსეთსა და საქართველოს შორის, ალექსანდრის სარჯის მძლეველის საფურის თავადის ანუ მოვლადელის მარცხე. რადგანაც ამის ასრულებას კარგი ხანი და დიდი მომზადება უნდადა, ამისთვის ამოიჩინეს სსკა გზა აკარიის მოვლადელის მარცხე. კახეთს თვედარე იოანეს ძემ გავსავნა აპრილში, 1587 წელს, ელჩები საქმის ნამდვილ შესატყობად და მგარი პირობის ჩამოსართმევლად, რომ კახეთის მეფე თავის შვილებით და ხალხით იქნება ერთგული ქვეშევრდამი რუსებისა. ალექსანდრემ (სამი შვილით) რუსეთის მეფეს ფიცის წერილი გაუგზავნა, რომ იქნება თავის სამეფოთი რუსეთის ხელმწიფების ერთგული, მორჩილი, არ დაუტყუებს რუსეთს და არ მიუდგება სსკა რომელიმე მეფეს; ნიშნად ერთგულებისა და ქვეშევრდამობისა დაჭირდა უოკელწლივ ორმოცდა ათი თაფის შულას ძლეკას და ათს ოქრომკედით და ვერცხლმკედით მორჩილ ხალხისა.

მეფე თვედარემ მიიღო რა ეს ფიცის წერილი ალექსანდრესაგან, ძრეულ იამა მას და 1589 წ. წყალობის გრამოცა გა-

1) რუსებს აქვთ ხსენარი შემდეგი ფრაზა: *всю землю до моря земли*; ხსე *Исторія Карамзина, 10-ый томъ, гл. 1, ст 38.*

მოუგზავნა, სწერდა, რომ მის საშეფას იქონიებს თავის მთავრეკლამის ქვეშ, რომ ყველა მტრებს მოაგვრებს და შეკვალსაც მოაშლეინებს სმიჩ-სმიჩ დაცემის კასეთზე ეს წყალობის ღრამატა მოიტანეს საქართველოში: სიმონ სკეინგოროდსკი და დიაკ ანტონოვი; ამთ გამოყოფეს, კასეთის მეფის ალექსანდრეს თსგებით, მსწავლეული ხასუღიერო პირები სამუბის მონასტრიდან მონური წაკევი, ძველელ მონოზანი იოსებ, ხასწაულ-მოქმედების მონასტრიდან მთავარ მონლოზანი თვედორო, აგრეთვე რამდენიმე სობოროს ძვედლები და მსატვარი; ამხ გარდა, შეუდგენ რუსები თერსკის ქალაქის გამაგრებას და გამოგზავნეს ჯარი, რომელსაც სარდლათ გამოყოფეს თავადი ანდრია სვობოლოვინი, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა რუსების მფლობელობა ჩერქესების და ყარაბაღელების თავადებზე, და ამხთან თვალ-ყური უნდა ეგდო კასეთისათვის. ანტონის ჯარს გიდეე შემოუთვალეს დაემშვიდებინა შეკვალა და წყლის გონისი ნაპირები დაეჭირა. თვითონ ალექსანდრეს გამოუგზავნეს იარაღი და დაჭირდენ გაცრების გამოგზავნას, რომლებსაც შესძლებოდათ ყარაბაღების ჩამონსმა.—

ამ გვარმა საქმეებმა და დაპირებებმა დიდად გამხსნევს, დაიმდავეს კასეთის მეფე ალექსანდრე და გიდეევს გადიდგულეს, რამაც ძაღიან აგრო ბოლოხდროს. ამხ ეგონა, რომ მტრები ველარს უსამდნენ—ეგონა, რომ მართლაც რუსები იმ დროს იმის გულისათვის შეგებებოდნენ, თუ გარემოება მოითხოვდა, ოსმალებს და სპარსელებს. თუ რა დიდი იმედი ჰქონდა ამხ რუსეთზე, ეს ცხადად ხანს შემდეგი ფაქტებიდან. ალექსანდრემ მიიღო რა წყალობის ღრამატა, შეჭკრიბა 15 ათასი ცხენოხანი და ქვეითი გაცები, სკამოიევან მინდვრად, რიგზე აყენებდა ამთ და ავარჯიშებდა სიუოხალეში; მისცა მათ ჯვაროხსნულ იარაღები, ეპისკოპოზები და ბერები დანიშნა წინა გაცებად და ეუბნებოდა თავად სკეინგოროდსკის—დიდება ეკუთვნის რუსეთის





გვირგვინისა! — ეს ჩემი ვაჩი გი არ არა, არამედ მღვთისა და თუ-  
ღარე იოანეს ძისა! ამ დროს ოსმალების თაყუბი მოვიდნენ და მო-  
სისოვეს ალექსანდრეს სასწრაფო ბაქონათვის და დერბენტისთვის;  
მაგრამ რადგან ამას დიდი იმედი ჰქონდა რუსეთზე და ეკონა, რომ  
ეს გამოიხსნიდა მათი სულიდგან, უარე უთხრა და ამითი მოინდურა  
და აიშალა, ანუ აიხუნტა ისინი. ამ თვარტებიდგან საკმაოდ სხანს  
ალექსანდრეს უმანგო მინდობილება რუსეთის მეფისადმი. —

ეჭვი არ არის, რომ რუსებს ძალიან უნდოდა მიეტა თავიანთ  
თანამორწმუნეებისათვის ყოველ გვარე შემწეობა, მაგრამ დროთა ვი-  
თარებაები არ აძლევდნენ ნებას მათ აესრულებინა თავინთი ამ გვარე  
სურვილი. ისინი იმოდენად ეწოდნენ მაშინ საქართველს, რამდენა-  
თაც დროთა ვითარებაები ნებას აძლევდნენ.

თითქმის გასეთში ელჩების გავსავნის დროს, თუღარე იოან-  
ნეს ქემ გავგსავნა ელჩები სწარსეთის შაჰს-გამოხატადებულად,  
რომ გასეთი მიიღო თავის მოვარელებას ქვეშ. რუსების ელჩებს სწა-  
რსეთის შაჰად დასვდათ აბასი, წოდებული «დიდბეულად», რომელიც  
უბირებას ახალ ომს ოსმალებსა და ამ მიზეზით საჭაროება რუ-  
სებთან გავშირს. შაჰ-აბასს ეს ამავე ერთის მსრით არ ეწეინა. ამან  
დაუთმო გასეთი თუღარე იოანეს ქეს; მაგრამ თავის მსრით მოს-  
თხოვა, რომ რუსეთს დაემშვიდებინა მთის ხალხები — ურდოები და  
ამ დროდგან თავის სასემწიფოდგან და გავასიის მთებიდგან არ გაე-  
შვა სწარსეთში არც ოსმალები და არც თათრები. რუსეთი დაჰბირდა  
ყველა ამის ასრულებას. ელჩები მობრუნდნენ მოსკოვში 1590 წელ-  
ში.

თუმცა შაჰ-აბასმა სიტყვით დაუთმო რუსეთს გასეთი, მაგრამ  
საქმით გი არათაც არ მოსვლია აბას ამ მსარის თავის დანებება.  
ეს ისევ თავინად ჰმარცხავდა გასეთს და უწინდელისავით აწუსებდა მას.

რაც შეეხება ოსმალებს და შავკალის ორდას — ამათ ხომ სრუ-

ლებით არ მოაკლეს კახეთს შევიწროება. მეფე ალექსანდრე მეორემ  
 არ იცოდა რა ექნა. ამისი საქმე უფრო და უფრო გამოუსაკალ მდ-  
 გომარეობაში კარდებოდა. საქმე რომ ძრვიელ გაუჭირდა ადგა და მე-  
 რჯედ წერილი გაუგზავნა რუსეთის მეფეს, თევდორე იოანნეს ძეს.  
 ამ წერილში ეხვეწებოდა მიეღო მას კახეთი თავის მფარველობას ქვე-  
 მოდ, დაეცა მასში მართლ-მადიდებლობითი საწმინდეება. ეს წერილი  
 გაგზავნა რუსეთს 1894 წ. ანსიებისკომარის ანტონის სელით და  
 სურშიდის სელით. ამ წერილის ძალით თევდორემ კიდეც გამოუგზავ-  
 ნა ჯარი და უფროსად გამოატანა ჯარს გრიგოლ შასვეინი. შასე-  
 ვინმა დასჯობნა შავკალა, რომელიც გაიქცა მთებში თავის დასაცველად.  
 ანდრია სვოროსტინისმა ჭკონდა ნაბძანები შეეთავებინა დაზერობა  
 დიდისტის მარხისა; აქ უნდა შეერთებულიყო ქართველების ჯართან და  
 აეღო ამ მარხის სატასტრა ქალაქი თარქვი, ალექსანდრეს შვიდის, გი-  
 ორგის სიმამრის, სხვა დადესტნის მფლობელის, მისაცემად; მაგრამ  
 აქ სვოროსტინის არ დაჰხვდა არც კახეთის ჯარი, არც ალექსან-  
 დრეს მსახლი. სვოროსტინისმა ტუილად დაწყო ღოდინი  
 ამათ; რუსის საზღვაო რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და  
